

მარი ყალაბეგაშვილი¹

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქ. თბილისის 88-ე საჯარო სკოლა*

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.32>

ისტორიისა და ქართული ენის სწავლების საკითხი შიდა ქართლის მთიანეთის (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) სასკოლო განათლებაში²

აბსტრაქტი. ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ერთი სეგმენტი ოკუპირებული შიდა ქართლის მთიანეთში, ე. წ. სამხრეთ ოსეთის სკოლებში. კონკრეტულად განხილულია ისტორიისა და ქართული ენისა სწავლების მდგომარეობა რეგიონში, რაც სრულიად უგულვებელყოფილია ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლების მიერ. ეს ხელს უშლის რეგიონში დარჩენილ ადგილობრივ, ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას ისწავლოს მშობლიური ენაზე და გაეცნოს თავისი ქვეყნის ისტორიას. ისტორიის სახელმძღვანელოები სავსეა დაუსაბუთებელი, მტკიცებულებების გარეშე წარმოდგენილი ფაქტებითა და დებულებებით. გაუმართავია ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც ისევ ძველ, საბჭოურ მარქსისტულ-ბოლშევიკურ მეთოდოლოგიას ეყრდნობა.

მოსხენებაში აღწერილია, ქართული ენისა და ისტორიის სწავლების თვალსაზრისით რა მდგომარეობა იყო 2008 წლის ომამდე და რა ვითარებაა დღეს. რა „რეფორმები“ გაატარა ოსურმა მხარემ ომის შემდგომ პერიოდში

¹ მარი ყალაბეგაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. ქ. თბილისის 88-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი.

² მოხსენება წარმოდგენილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები“, რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა 2022 წლის 8-9 დეკემბერს.

და როგორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. განხილულია უცხოელი ექსპერტების შეფასებები და მოსაზრებები. შემოთავაზებულია რეკომენდაციები შექმნილი ვითარებისა და არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კვლევის დროს გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდი, ჩატარდა არსებული მასალების (სახელმძღვანელოები, ღოკუმენტები, საინფორმაციო საშუალებები და სხვა მასალა) სამაგიდე კვლევა და განხორციელდა შეგროვილი მონაცემების კონტენტ-ანალიზი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე ეფუძნება ოკუპირებული შიდა ქართლის მთიანეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებისა და ისტორიის სწავლების არსებული მდგომარეობის შესწავლას. გაანალიზებულია ქართული მხარის პოზიცია სკოლებში ქართული ენისა და ისტორიის სწავლების აკრძალვასთან დაკავშირებით და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებები. ნაშრომს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა განათლების დარგით დაინტერესებული პირების, მკვლევარების, მეცნიერებისა და უბრალოდ საკითხისადმი არაგულგრილად დამოკიდებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და არსებული ვითარების გაცნობის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: შიდა ქართლის მთიანეთი, ოკუპირებული რეგიონი, სკოლები, ისტორია, ქართული ენა, სწავლება, მხარეთა პოზიციები, რეკომენდაციები და ა. შ.

Mari kalabegashvili³

Sokhumi State University// 88th public school of Tbilisi

The issue of teaching history and the Georgian language in school education in Shida Kartli Mtianeti (Kartli Region highland, so-called South Ossetia)⁴

Abstract. Purpose: The aim of the paper is to introduce to the general public one segment of the school education system in the occupied Shida Kartli Mtianeti

³ **Mari kalabegashvili**, Doctoral student of the Faculty of Humanities of Sokhumi State University. Teacher of the 88th public school of Tbilisi.

⁴ The report was presented at the second international scientific conference "*Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Social Sciences, Cultural Monuments*" organized by Sokhumi State University and the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia, which was dedicated to the 100th anniversary of the birth of academician Mariam Lortkifanidze on 8-8-2022. on December 9.

(Kartli Region highland, so-called South Ossetia). The situation of teaching history and Georgian language, which is completely neglected by the local separatist authorities, is specifically discussed. This prevents the local, ethnically Georgian population remaining in the region from learning their native language and getting to know the history of their country. History textbooks are full of unsubstantiated facts and statements presented without evidence. The methodology of teaching history, which is still based on the Soviet Marxist-Bolshevik methodology, is faulty.

The report describes the situation before the 2008 war from the point of view of teaching Georgian language and history and what is the situation today. What reforms did the Ossetian side carry out in the post-war period and what is the position of the Ministry of Education and Science of Georgia in relation to the mentioned issues. Assessments and opinions of foreign experts are discussed. Recommendations are proposed to improve the created and the existing situation.

Methodology: During the research, the historical-comparative research method was used, a study of the existing materials (manuals, documents, informational means and so on) was held, and a content analysis of the collected data was carried out.

Originality/value: The article discusses the current situation in occupied South Ossetia in terms of school education, the position of the Georgian side regarding the ban on the teaching of the Georgian language and history in schools, and the opinions of foreign experts. The work is of practical importance in terms of providing information and getting to know the current situation for people interested in the field of education, researchers, scientists and simply people who are not indifferent to the issue.

Key words: Kartli Region highland, Occupied region, schools, history, Georgian language, teaching, positions of parties, recommendations etc.

ძირითადი კვლევა. თვითადიარებულ ე. წ. სამხეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანიაში სწავლა-განათლების მიღება მშობლიურ ენაზე არ ხორციელდება. უკეთესი ვითარება არც ჩრდილოეთ ოსეთშია, იქ არსებობს მხოლოდ ერთი გიმნაზია, სადაც ოსური ენა ისწავლება.

ვლადიკავკაზში ცხოვრობს ოსი ხალხის უმეტესობა და, მიუხედავად ამისა, პირველკლასელთა მხოლოდ 10/20% საუბრობს ოსურ ენაზე. სკოლის დამთავრების დროს მათაც ავიწყდებათ მშობლიური ენა, რადგან სწავლება მიმდინარეობს მთლიანად რუსულ ენაზე. როგორც ვხედავთ, ოსური ენაც ისევე კვდება, როგორც აფხაზური. განსხვავებული ვითარება იყო მაშინ, როდესაც ეს რეგიონი საქართველოს ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, მათი ენა და ლიტერატურა შეუფერხებლად ვითარდებოდა. ამ დროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არა მხოლოდ ფუნქციონირებდა ოსური სკოლები,

არამედ ცხინვალში არსებობდა სრულფასოვანი პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც სწავლება შესაბამის სპეციალობებზე, მთლიანად ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. ცხინვალში გამოდიოდა გაზეთები ქართულ და ოსურ ენებზე, არსებობდა გამომცემლობები, სადაც იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები ოსურ ენაზე. ამიტომ გასაკვირი იყო ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სომეხი პროვოკატორის წაქეზებით, ზოგიერთმა ცხინვალელმა ოსმა მოითხოვა ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის სტატუსით შეცვლა და შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთთან და რუსეთის ფედერაციაში გაერთიანება. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ოსების მეორე ნაწილი აცხადებდა, რომ მხოლოდ ცხინვალში იყო შემორჩენილი „ოსური სული“, ენა და კულტურა. და რომ რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთში ამ თვალსაზრისით, პრობლემები არსებობდა. სამწუხაროდ, დღეს შედეგი სახეზეა და ვხედავთ, როგორ ჩაკლა სეპარატიზმმა ამ ხალხის ეროვნული იდენტობა.

ცხინვალის ქუჩებში, იშვიათად თუ გაიგებთ ოსურ ენას და ძირითადად რუსულ ენაზე საუბრობენ, მაშინ როდესაც ოსური ენა, ტრადიციები, კულტურა და სულისკვეთება დავიწყებას მიეცა. გაცილებით უარესი მდგომარეობაა ცხინვალის რეგიონის სოფლებში, სადაც ადრე ცხოვრება დუღდა, ახლა დაცარიელებულია, სკოლების უმეტესობა დახურულია, რაც გადარჩა იქაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს. თანამედროვე ოს ახალგზარდებს შორის ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც ოსურად კითხვა შეუძლია, შესაბამისად, უფუნქციოა ბიბლიოთეკები, სადაც ოსურ ენაზე ინახება სახელმძღვანელოები („კავკაზ პლიუსი“, 2022).

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ 2017-2018 სასწავლო წლიდან ქართული ენის სწავლება სკოლებში მთლიანად აკრძალა. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე. წ. განათლების მინისტრის მოადგილემ *ელისო გაგლოევაძე* განაცხადა, რომ გაძლიერდებოდა რუსული ენის სწავლება. ეს ცვლილება შეეხო ახალგორის მუნიციპალიტეტში მოქმედ *ეჟეს ქართულ სკოლას* და საჩხერისა და ქარელის რაიონების ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ თითო ქართულ სკოლას. შესაბამისად, აიკრძალა ქართული სახელმძღვანელოებით სწავლება. ქართული ენა ფორმალურად დარჩა არჩევით საგნად და ოკუპაციის პირობებში, მისი არჩევის შესაძლებლობაც ნაკლებია. ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონში ერთ-ერთ მასწავლებელთან გასაუბრების მცდელობა მქონდა. ვთხოვე რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა და ისტორიის რომელიმე კლასის სახელმძღვანელოს გამოგზავნა. სეპარატისტული რეჟიმის შიშით, წერილობითი კითხვარის შევსებაზე უარი მივიღე, მიუხედავად იმისა, რომ ანონიმურობა დაცული იქნებოდა, თუმცა რამდენიმე ზეპირ კითხვას უპასუხა.

ამ პასუხებიდან აღვადგინეთ შემდეგი ისტორიული სურათი: ოკუპაციის პირობებში ისტორიის სწავლება დაიწყო რუსული სახელმძღვანელოებით, რადგან არ არსებობს ოსური სახელმძღვანელოები. ეს ნიშნავს, რომ რეალურად ისტორია ისწავლება სეპარატისტული ისტორიული ნარატივის საფუძველზე: სრულიად განსახვავებულადაა წარმოდგენილი შიდა ქართლის მთიანეთის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) შუა საუკუნეების ისტორია, გაყალბებულია ფაქტოლოგიური მასალა, სრულიად დაუსაბუთებლად არის წარმოდგენილი შუა საუკუნეების „ოვსთა სამეფოს“ ისტორიული საზღვრები, განდიდებულია ოსი მეფეების კულტურული საქმიანობა და ლამის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად ოსი უფლისწულია გამოცხადებული. ჩვენი რესპონდენტი მასწავლებლის მონათხრობის მიხედვით, სეპარატისტული ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს რეგიონის მდიდარ საეკლესიო და საერო არქიტექტურის ძეგლებს, შეინიშნება უდიერი და გულგრილი დამოკიდებულება ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისადმი, რომლითაც განსაკუთრებით მდიდარია ეს მხარე. არსად, არცერთ სასკოლო სახელმძღვანელოში არ არის ნახსენები რეგიონის უნიკალური ქართული წარწერები, არ არის ახსნილი, საიდან გაჩნდა ეს წარწერები, თუ ეს მხარე ჩრდილო კავკასიაში არსებული „ოვსთა სამეფოს“ ნაწილი იყო?

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპონდენტი მასწავლებელი თავს იკავებდა შეფასებებისგან, არსებული ვითარებაზე თავადაც გამოთქვა წუხილი და განიცდიდა, როგორც ისტორიის მასწავლებელი. სახელმძღვანელოებზე ნაკლები ისაუბრა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორი იქნება სეპარატისტული პროპაგანდით გაჯერებული სახელმძღვანელოები, სადაც ოსებს უმახინჯებენ საკუთარ იდენტობას, ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. ყველაზე სამწუხაროა ის, რომ ახალ თაობას გაუჭირდება სიმართლის გარჩევა. შესაბამისად, მივიღებთ რუსული აგიტაციის, დეზინფორმაციისა და დამახინჯებული ისტორიის მსხვერპლ თაობას, რომელთაც არ ეცოდინებათ რეალური ისტორიული ფაქტები. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რამდენიმე წლის წინ განაცხადა, რომ არანაირი საქართველო არ არსებობდა. ცხადია, მისი ეს განცხადება უმალვე აიტაცეს რუსეთში და ე. წ. სამხრეთ ოსეთში. ამ სულისკვეთებით აღზრდილ თაობებს არანაირი ინფორმაცია არ ექნებათ წარსულში ქართველებისა და ოსების ერთ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ.

ცხინვალის რეგიონში სასკოლო განათლების ძველი სისტემა მოქმედებს, სასკოლო სწავლება, ისევე როგორც რუსეთში თერთმეტწლიანია. ცხადია, ეს არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. რეგიონში არსებულ სკოლებში, წარმოდგენა არ აქვთ სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და

მეთოდებზე, არ იცნობენ ციფრულ ტექნოლოგიებს და ა.შ. ჩვენი რესპონდენტი არ იცნობდა ინკლუზიურ განათლებას, არ იცოდა როგორ შეექმნა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა. შ.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ გაუვლიათ სათანადო ავტორიზაცია, რასაც საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს. შესაბამისად, ეს დაწესებულებები არ არიან ჩართულნი ბოლონის პროცესში. შედეგად ვიღებთ იმას, რომ კურსდამთავრებულებისთვის გაცემულ საგანმანათლებლო დოკუმენტებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არ გააჩნია იურიდიული ძალა, მაგრამ ქართულმა მხარემ შეიმუშავა მათი აღიარების მექანიზმები. საგულისხმოა, რომ განათლების დამადასტურებელი ეს დოკუმენტები არ არის აღიარებული საზღვარგარეთაც, აქედან გამომდინარე ამ კურსდამთავრებულებს არ აქვთ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის უფლება. მათთვის ერთადერთი „ხსნის გზა“ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებია.

თუ შევადარებ ჩემი რესპონდენტი მასწავლებლის მონათხრობს და საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ოსურ სოფლებში არსებულ სასკოლო განათლებას, ოსური ენის სწავლების კუთხით აქ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. მაგალითად, ასეთია კახეთში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშფერანში არსებული კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სკოლა, სადაც მოსწავლეები ოსურ ენას სწავლობენ. იგივე ვითარებაა გორის, ბორჯომისა და ბაკურიანის სკოლებში. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ოსებმაც უნდა გაიაზრონ, რომ მათი კულტურის, ენისა და ტრადიციების გადარჩენის გზა მხოლოდ საქართველოს უკავშირდება.

არსებობს საქართველოს მთავრობის ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისთვის“. მისი მიზანია ამ რეგიონში მცხოვრებმა მოსახლეობამ განავითაროს განათლების მიღების შესაძლებლობები. ამ წამოწყებას თან ახლავს რიგი გამოწვევები და დაბრკოლებები. მათ შორის განსაკუთრებული დაბრკოლებაა ის, რომ მოსახლეობა ვერ ახერხებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას.

თავისუფალი რუსულენოვანი პრესის ფურცლებზე მწირად, მაგრამ მაინც ვხვდებით ინფორმაციას ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების არაჯანსაღი დამოკიდებულების შესახებ ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ, მაგრამ ჩანს, არც ოსური ენა არის უკეთეს მდგომარეობაში.

რას აკეთებს საქართველოს მთავრობა სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით?! საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო ფორუმებზე მუდმი-

ვად აყენებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის საკითხს და საერთაშორისო პარტნიორების (გაეროს ბავშვთა ფონდი, ევროსაბჭო) დახმარებით ცდილობს მოლაპარაკებების ფორმატში გალის მუნიციპალიტეტსა (აფხაზეთის ასსრ) და და ახალგორში მცხოვრებ მოსახლეობას მისცეს ქართულ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა.

საქართველოში 2016-2017 სასწავლო წლიდან მოქმედებს ე. წ. 1+4 მექანიზმი, ანუ უნივერსიტეტებში ჩარიცხვის გამარტივებული სისტემა ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოქალაქეებისთვის, რაც ითვალისწინებს მხოლოდ ზოგადი უნარების ოსურ ენაზე ჩაბარების საფუძველზე სწავლის გაგრძელების უფლებას ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. მიუხედავად ამისა, მსურველთა რაოდენობა მცირეა. ამიტომაც ქართული მხარე გეგმავს მეტ ცვლილებებს საქართველოში სწავლის გაგრძელების პოპულარიზაციის მიზნით. ეს ცვლილებები გულისხმობს შემდეგს: სტუდენტს, რომელსაც სურს ოთხწლიან საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლია ოსური ენის, ასევე დანარჩენი სავალდებულო საგნების რუსულ ენაზე ჩაბარება (ოსური ენის რუსულ ენაზე ჩაბარების ფაქტი, მიუთითებს რამდენადა სავალდებულო მდგომარეობაა მშობლიური ენის სწავლების თვალსაზრისით).

როგორც აღვნიშნეთ, ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში სასკოლო განათლება მოიცავს 11 წელს, ამიტომაც, საქართველოში ჩამოყალიბდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების ცენტრი ნებისმიერი მსურველისათვის, რაც უზრუნველყოფს მათი ზოგადი განათლების დონის გაზრდას და მომზადებას შემდგომში სწავლის გაგრძელებისათვის (სამშვიდობო ინიციატივა, 2018).

საქართველოს ხელისუფლებას აქვს ძალზედ შეზღუდული საშუალება ჩაერიოს გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაში. აუცილებელია იქ მცხოვრებმა მოსახლეობამ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს ხელისუფლებას.

მიუხედავად ქართული მხარის ასეთი შეღავათებისა ყოველ წელს სულ უფრო ნაკლები მოსწავლე აგრძელებდა სწავლას საოკუპაციო ხაზს გამოღმა საქართველოში. მაგალითად, 2015 წელს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს დაფინანსებით ჩატარებული კვლევის თანახმად, 2014 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სულ დარეგისტრირებული იყო 101 მოსწავლე და აქედან მხოლოდ 38-მა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. ამის შემდეგ სულ უფრო და უფრო მცირდებოდა მსურველთა რაოდენობა და ეს უკვე განპირობებული იყო

იმით, რომ 2017-2018 სასწავლო წლიდან მთლიანად აიკრძალა ქართული ენის სწავლება ოკუპირებული რეგიონის სკოლებში.

ამის პარალელურად ბოლო წლებში სულ უფრო მეტი აბიტურიენტი აგრძელებს სწავლას რუსეთში და ყველა მათგანს უწევს გამოცდის ჩაბარება და გასაუბრების ეტაპის გავლა. რუსული უნივერსიტეტები გამოყოფენ ეგრეთ წოდებულ კვოტებს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის აბიტურიენტებისთვის. კვოტების განაწილებით ყველაზე ცნობილი ორგანიზაციაა „როსოტრუდნი-ჩესტვო“, რომელიც სამხრეთ ოსეთში 2003 წლიდან მუშაობს. 2013 წლამდე გასაუბრებებს ატარებდა სამხრეთ ოსეთის განათლების სამინისტრო და იგი თავად ანაწილებდა ადგილებს, თუმცა ბოლო დროს უკვე ამას სწორედ ეს ორგანიზაცია საკუთარი წარმომადგენლების მეშვეობით თავად აკონტროლებს (Why do most S. Ossetian high-school graduates apply for universities in Russia?, 2021).

2015 წელს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს დაფინანსებით ჩატარდა კვლევა „დევნილთა გაძლიერება ჩართულობისა და თანამშრომლობის გზით“, სადაც საუბარია, თუ როგორია განათლების დონე გამოყოფ ხაზთან.

ამავე კვლევის თანახმად შერჩეულ იქნა სამი ფოკუს ჯგუფი: მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. კვლევა ჩატარდა გამოყოფ ხაზთან ახლოს მდებარე სოფლებში (ნიქოზი, ხურვაღეთი, საკორინთლო). მოსწავლეების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათ განათლებაზე დიდ როლს ახდენდა რამდენიმე ფაქტორი: საპატრიარქოს ხელოვნების სკოლა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტრენინგები და მოსახლეობის გადინება ქართულ ნაწილში. როგორც აღმოჩნდა მეთერთმეტე კლასელი მოსწავლეები ინფორმულები იყვნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების და არსებული შედეგების შესახებ, თუმცა სამივე ჯგუფი მიიჩნევდა, რომ გამოცდების ჩასაბარებლად საჭირო იყო რეპეტიტორებთან სიარული, რისი ფინანსური საშუალებაც მათ არ გააჩნდათ. გარდა ამისა, არ იყვნენ კვალიფიციური მასწავლებლები იქ, რათა მოემზადებინათ ბავშვები გამოცდებისათვის, ამიტომ მომზადება უწევდათ ქ. გორში, რაც ასევე დაკავშირებული იყო ფინანსებთან.

რაც შეეხება მშობლების ჯგუფს, მათი პროგნოზები უფრო უიმედოა, რადგან ყველა სოფელში არ ფუნქციონირებს სკოლა და მოსწავლეებს ზოგჯერ მეორე სოფელში უწევთ სიარული, რასაც ხელს უშლის ზამთრის უამინდობა და ტრანსპორტის ცუდი მოძრაობა. შესაბამისად მოსწავლეებს უწევთ ბევრი გაცდენები. ყველა ჯგუფი აღნიშნავდა იმას, რომ სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა 2008 წლის ომის შემდეგ. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ბიბლიოთეკების არარსებობა და ინტერნეტის არქონა. ყველაზე სამწ-

უხარო რამ, რაც ამ კვლევამ ნიქოზში აჩვენა, არის ის, რომ კითხვაზე, თუ რა სახის დახმარებას ითხოვდნენ მთავრობისგან, არცერთის თხოვნა განათლებას არ უკავშირდებოდა. ამ სოფლების ბავშვებმა ითხოვეს გზის და წყლის, ასევე სასწრაფო დახმარების პრობლემის მოგვარება. მოსახლეობაში ამის გამო იზრდება აგრესიაც და უმეტესობა მათგანი უკვე უარს აცხადებს გაეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაციაზე, რადგან თვლიან, რომ მათი პრობლემები ყველასთვის ნაცნობია, თუმცა არავინ არაფერს აკეთებს მოსაგვარებლად (განათლება გამყოფ ხაზთან, 2015).

ეს კვლევა 2015 წელს ჩატარდა, ანუ მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა იქ ქართული სკოლები და განათლებაც ქართულ ენაზე ხორციელდებოდა. ახალგორის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლა და კვლევის ჩატარება ვერ მოხერხდა, თუმცა რამდენიმე მაცხოვრებელთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ მოსახლეობამ არ იცის რუსული ენა, მოსწავლეებს უჭირთ კომუნიკაცია ოკუპანტის ენაზე. მათ ასევე ნაკლებად ჰქონდათ ინფორმაცია სახელმწიფო გრანტის თაობაზე, თუმცა მათი აზრით, ესეც სიტუაციას ვერ ცვლიდა, რადგან მოსწავლეებს უჭირდათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. ნიქოზისაგან განსხვავებით, აქაური მოსახლეობის თხოვნა განათლების ხელშეწყობა იყო. მათ სურდათ თბილისში გამოეყოთ მასწავლებლები, რომლებიც უფასოდ მოამზადებდნენ მოსწავლეებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის.

როგორც ჩატარებული კვლევიდან ირკვევა, ჯერ კიდევ 2015 წელს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ითხოვდა დახმარებას განათლების კუთხით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გააზრებული ჰქონდათ განათლების მნიშვნელობა. დღეს კი ამაზე საუბარსაც თავს არიდებენ. სიტუაცია განსაკუთრებით დაამძიმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა. თუმცა ფაქტია, დღეს სიტუაცია 2015 წელთან შედარებით გაცილებით გაუარესებულია და უფრო და უფრო იკარგება მათთან კომუნიკაციის ადდგენის იმედი. მათთვის პრიორიტეტი უსაფრთხოებაა და შესაძლოა ამის გამოც ერიდებიან ხმამაღლა თავიანთი სურვილების გაჟღერებას. მოსახლეობა დაიღალა და ნაკლებად აქვთ რაიმეს შეცვლის იმედი. გარდა იმისა, რომ მათ ფიზიკური არსებობისათვის უწევთ ბრძოლა, ასევე აქვთ ენისა და იდენტობის შენარჩუნების პრობლემა. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია უფრო აქტიურ პოლიტიკას მიმართოს და ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩართოს.

ზემოთ აღნიშნულმა კვლევამაც აჩვენა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე რომ საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს ერთიანი და თანმი-

მდევრული პოლიტიკა გამყოფ ხაზთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე განათლების ხელშეწყობასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ისმის კითხვა, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში? პირველ რიგში, ობიექტურად უნდა გაანალიზდეს არსებული მდგომარეობა. მეტად უნდა იყვნენ ჩართულები საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები. უნდა გაქტიურდეს არასამთავრობო სექტორი, რადგან სახელმწიფო ინსტიტუციებისგან განსხვავებით, ისინი გაცილებით თავისუფლად მოქმედებენ. სამწუხაროდ უწყვეტად მიმდინარეობს საზღვრის გადმოწევის პროცესი. თუ 2015 წელს ადგილობრივი მოსახლეობისთვის პრიორიტეტი განათლების საქართველოში მიღება იყო, დღეს უკვე პრიორიტეტი შეცვლილია და ისინი რუსეთში სწავლის გაგრძელებას ამჯობინებენ. ამ ახალგაზრდებში სულ უფრო იზრდება ანტიქართული განწყობა, რაც მომავალში ძალიან გაართულებს კომუნიკაციას თაობებს შორის და უფრო შემცირდება კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარების შესაძლებლობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

უგრეხელიძე, მ. (2015). მინდია უგრეხელიძე. შესავალი სიტყვა (ტრანსკრიპტი). საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურ. „სამართალი და მსოფლიო“. სპეციალური გამოშვება. კონფერენციის შრომები. N2.

„კავკაზ პლიუსი“, 2022 „სამხრეთ ოსეთში არც ერთი ოსური სკოლა არ არის“ <https://ge.kavkazplus.com/news.php?id=44495#.Y4N6d71BzIU> ბოლო ნახვა: 16.12.2022, 19:58

სამშვიდობო ინიციატივა (2018) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისთვის“, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის განათლების შესაძლებლობების განვითარება;

განათლება გამყოფ ხაზთან (2015) „სინერია“ - დევნილთა გაძლიერება ჩართულობისა და თანამშრომლობის გზით, განათლება გამყოფ ხაზთან;

Why do most S. Ossetian high-school graduates apply for universities in Russia?, 04.06. 2021 ბოლო ნახვა: 16.12.2022 20:39 <https://jam-news.net/why-do-most-s-ossetian-high-school-graduates-apply-for-universities-in-russia/>